

# საქართველო

საქართველოს ბაჰეთიანეზული რესპუბლიკური პარტია  
ქოველკვირული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბაჰეთი  
ბაჰოდინოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდბენილია 1989 წელს.

№ 19 (1420) 14-21 ივნისი 1995 წ.

## უაჰვი ღრუბელი კოდორის ხეობაში

ნოდარ ბრიბალაჰვილი

იმ, ენევაში გადაწყდა — აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართული საჯარისო ფორმირებები უნდა გამოვიდნენ, მათ ნაცვლად რუსის სამშვიდობო ჯარი შევიდეს და ეს ჯარი მიუხეხს აფხაზ და სხვა ჯურის ბოვეიკებს თავის ადგილსო...


საჯარისო ფორმირებები აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს ფაქტიურად აღარ გეყავდა. სოხუმიდან რუხის ხილამდე ქართველთაგან კარგა ხნის გაწმენდილი იყო ენგურს იქითა მხარე, იქ აფხაზი თოფიანი კაცები დათარეშობდნენ და მეხხერად შემორჩენილ ქართულ მშვიდობიან მოსახლეობაზე ნადირობდნენ. ერთადერთი პლაცდარში აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ჯერ

კიდევ გრძელდებოდა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, იყო კოდორის ხეობა.

კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ იარაღი აისხა და სისხლით იცავდნენ საკუთარ სოფლებს. იქვე იყო მცირერიცხოვანი საჯარისო ფორმირებაც.

იქ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ კი, საჯარისო ფორმირება გამოიყვანეს. დარჩნენ ადგილობრივები. დარჩნენ ის მამაკაცები, რომელნიც საკუთარ სახლ-კარს იცავდნენ. ეგენიც გაიყვანეთ — იყო მკაცრი მოთხოვნა. არ გასჭრა იმ შეუვალმა არგუმენტმა, რომ საკუთარი სახლიდან კაცის გაყვა-

გაგრძელება მე-2 გვ.



# მეანაბრე

მოსახლეობის  
გაპარტახების გზით  
ვინ გაპარცვა მეანაბრეები?

მოტყუებულებს  
ტყუილს ნულარ  
ვასვედრებთ

ვინ?  
ვინ?  
ვინ?!

გაგვპარცვენს!

ვინ?  
ვინ?  
ვინ?!



# მენაბრა

## მენაბრათა ერთობა

საქართველოს მოსახლეობა ბოლო წლების მანძილზე განიცადებდა რამდენიმე დიდი მასშტაბის სახელმწიფო მნიშვნელობის ორგანიზებული ხასიათის ძარცვა. გავითვალისწინოთ და გავვიაროთ რეს სახელმწიფო მიზნობრივი ობლიგაციები, შემანავლ საღარიბოში წლების მანძილზე არსებული ფული, კერძო კომპანიებში და ბანკებში შეტანილი თანხები და, აგრეთვე, სხვა, შემოსენებულზე არანაკლები მასშტაბის ძარცვა განახორციელეს.

დღემდე არავინ რეალური არაფერი მოიმოქმედა მენაბრათა ღირსების დასაცავად და მათი კანონიერი უფლებების აღსადგენად. პირიქით, ყველაფერი კეთდება მენაბრათა მდგომარეობის პარალიზებისთვის, მათი ცნობიერების აღსარევად, უმწიფობის და უსაშველოების ფსიქოლოგიური წყობის გასაყარებლად, მათ თავს დატყობილი უბედურების ნამდვილი მიზეზთა და ვითარებათა მისაჩქარებლად. ამიტომაც, იქნება მენაბრათა ერთობა, რომელიც მიზნად ისახავს წარსულში გაძარცვულ და ღირსებადგარულ ყველა სახის მენაბრის უფლებებისთვის ბრძოლას, სახელმწიფო დონეზე მენაბრათა მასშტაბურად ძარცვის საკითხთა შესწავლას და სამართალდამცავი ინსტანციების წინაშე მათი გადუწყულების მოთხოვნის სახალხო ნების შესაბამისად, დანაშაულის გამოტანას ხალხის სამსჯეროზე. საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფო მანქანებით გაპარტახების საკითხის საერთაშორისო რადიუსით გამართვას, გადატყობული მენაბრების დასახმარებლად სხვადასხვა საეკონომიკურ-სამეურნეო და მუმანისტური ღონისძიებების ჩატარებას, ბრძოლას ნაძარცვი თანხების დასაბრუნებლად გაძარცვულათვის.

მენაბრათა ერთობის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი უკვე დგამს პირველ ნაბიჯებს მენაბრათა უფლებებისთვის ბრძოლის გზაზე: ამყარებს კავშირებს სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თხოვნით, მათთან შეიქმნას მენაბრათა უფლებების დაცვის სექციები; მიმართავს ეკონომისტებს და იურისტებს, დაამუშავონ გაძარცვულ მენაბრათა დასახმარებლად საკუთარი სამთავრობო ღონისძიებათა საშუალებები; მიმართავს პარლამენტს, რათა არ დაამტკიცოს მენაბრათა საკითხთან დაკავშირებით გამოტანილი უმწიფარი და ყალბი კანონმდებლობები; შეუდგა პრესაში მენაბრათა საკითხის გეგმავით გაშუქებას. მენაბრათა ერთობა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნება კანონმდებლებს სპეციალისტების მონაწილეობით მოქალაქეთა ფინანსური უფლებების დაცვის საკითხებზე. ამჟამად მიმდინარეობს მოსახლეობის საშუალებით ანაბრების სახელმწიფო დახმავების შექმნის შესაქმნელად. ეს პირველი ნაბიჯები წარმატებით იდგება.

საქართველოს მენაბრათა ერთობლივი, ორგანიზებული ძალისხმევა საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური კანონიერი უფლებების აღსადგენად და დასაცავად. მენაბრათა ერთობის წევრობა შეუძლია ყველა მოქალაქეს, ვისაც სურს იბრძოდეს მენაბრათა უფლებების და ღირსების დასაცავად.

საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს მოსახლეობა, სულ რაღაც ოთხი-ხუთი წლის მანძილზე, სახელმწიფო ორგანიზების დონეზე რამდენჯერმე გაიძარცვა ისეთი სისშირით და მასშტაბით, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება XX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის ძარცვის ისტორიაში. მოსახლეობა გაძარცვეს შემანავლ საღარიბოში შეტანილი ფულის, ობლიგაციების და სხვა ხასიათის ანაბრების გაუფასურებისა და ანულობის გზით. მიითვისეს ხალხისაგან ათეული მილიარდის თანხა და ქონება და დღემდე არავინ კითხულობს ასეთი გაუგონარი მძარცველობის ამბავს. ახლახან ხალხი გაიძარცვა კერძო კომპანიებისა და ბანკების მეშვეობით; შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით მოსახლეობის უმეტესობას უკანასკნელი ლუკმის ფულიც ამოართვეს. და, ამჯერად, ხალხმა ამოიკვნესა; და განა მართო იმიტომ, რომ ბევრზე-ბევრს უკანასკნელი ლუკმაც წაართვეს, არამედ იმიტომაც, რომ მძარცველებად კომპანიებისა და ბანკების მესვეურები დაუსახეს — თითქოს მხოლოდ მათ გაძარცვეს ხალხი — თითქოს ისინი იყვნენ ხალხის ძარცვის მოთავენი და ეგოდენი მასშტაბის ყაჩაღობის უფლებებისა და ღონის მფლობელები: სინამდვილეში ვითარება გაცილებით უფრო რთული და ჩახლართულია.

მრავალი ფიქრის აღმძვრელია მოსახლეობის ძარცვის ეს უწყვეტი პროცესი. დაესმება კი წერტილი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას ამ უკანასკნელი აქტით?

### 1. საკითხის დაყენება

ბოლო ხანს, პრესაში და ტელევიზიაშიც, თვით სახელმწიფო მმართველობის დონეზეც, გაზიარდა მსჯელობა „გაკოტრებულ კომპანიებსა და ბანკებზე“ და მათ გაძარცვულ მენაბრებზე. აქ იმას არ გამოვეყიდებით, რამდენად მართებული და გულწრფელია ოფიციალის მსჯელობა ამ საკითხზე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მსჯელობა მიმდინარეობს იმგვარად, თითქოს საქმე გვქონდეს კერძო ხასიათის ცხოვრებისეულად ბედუკულობათ მოვლენასთან, რომელიც გამოიწვია კომპანიებისა და ბანკების მესვეურთა

## მოსახლეობის გაპარტახების გზით მინ გაძარცვა მენაბრები?

(წერილი პირველი)



თა თაღლითობამ. ასეთი შეფასება კი, რბილად რომ ვთქვათ, თავის მოსულელებად და ვითარების მეტისმეტად გაუბრალოება. ვერ ერთი, მძარცველთა მხარე მხოლოდ კომპანიების მესვეურებით არ იფარგლება; მეორეც, ადგილი აქვს არა ერთი და ორი, არამედ ათეულობით კომპანიისა და ბანკის და მათი ათათასობით მენაბრის ორგანიზებულად გაძარცვა-გაკოტრებას. მისასადამე, საქმე გვაქვს სახელმწიფოებრივად ფრიად მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენასთან: საქმე გვაქვს ხალხის წინაშე ჩადენილ, ანუ, სახელმწიფო დანაშაულთან.

### 2. ბაიჭირა მხოლოდ ხალხი

თითოეული კერძო კომპანიისა თუ ბანკის მრუდ სარკეში ირეკლება თითქმის ყველა მხარე, თითქმის ყველა ძალი ჩვენი ყოფის გაუკუღმართებისა; და ამ სარკეში ჩანს ხალხიც — სახელმწიფოებრივი არსებობის პირობებს ხე-

ლოვნურად მოკლებულ ადამიანთა კრებული, რომელიც მისი ნების გარეშე შექმნილი ბოროტებული ვითარების მიზეზით, გახდა კერძო კომპანიებისა თუ ბანკების უგვანობათა მონაწილეც და მსხვერპლიც; და ხსენებული კომპანიების უკუღმართობაში მონაწილე ყველა მხარე უვნებლად გავიდა ფონს, გარდა ხალხისა. მხოლოდ ხალხი გაიწირა — საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც წლების მანძილზე ატყუებენ, ხოცავენ, ლტოლვილებად ამყოფებენ საკუთარსავე მიწა-წყალზე, ულახვენ თავმოყვარეობასა და ღირსებას, უნერგავენ უვარგისის და დამნაშაულის კომპლექსს და სხვა ათასგვარი ბოროტების კვალად, გაძვალტყავებულებს და გონებადრეულებს, არსებობის უკანასკნელ ლუკმასაც სტაცებენ ხელიდან, მძარცველმტაცებელთა ნამდვილ სახეს უმაღავენ და, გაოგნებულვით, ერთმანეთს უქსევენ, ერთმანეთს ახოცინებენ... აი, ერთ-ერთი სურათი ჩვენი ხალხის გაცამტყერე-

ბის ერთ-ერთი გზისა და საშუალებისა.

და ამ ცოდვის ტრიალში, ხალხის გაძარცვა-გაპარტახებაში, ყველაზე მეტად დამნაშავე სახელმწიფო მმართველობაა.

კერძო კომპანიებისა და ბანკების მრუდ სარკედან, ხან აშკარად და ხანაც შეფარვით (სხვადასხვა საგნებს და გარეშე პირებს ამოფარებულად), ილანდება სახელმწიფო მმართველობა თავისი პოლიტიკის აღმსრულებელი სტრუქტურებისა და პირების სრული მრავალფეროვნებით.

ზოგი იტყვის — სახელმწიფო მმართველობა რა შუაშიაო.

მაშ, დაუვიწყრედ ვითარებებს და ფაქტებს, დაიწყეთ მართვიდან და უცხადესიდან;

### 3. ვისი დასტურითა და ხელუფლებითა...

ცხადზე უცხადესია, რომ ხელისუფლების დასტურისა და ხელუფლების გარეშე, ამჟამად მისგანვე უბადლებული კომპანიები და ბანკები ვერც დაუფნდებოდა

და ვერც იარსებებდა. ყველამ კარგად იცის ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სტრუქტურები და სახელმწიფო პირები უწყვედენენ კერძო კომპანიებს და ბანკებს პოპულარიზაციას, პირადად მონაწილეობდნენ მათ გამძლეობაში და ხალხსაც მოუწოდებდნენ მენაბრებისთვის.

### 4. ვინც აჯანყებდა ხელს დანაშაულს

სახელმწიფო მმართველი სტრუქტურები და სახელმწიფო პირები არა მარტო მონაწილეობდნენ კერძო კომპანიებისა და ბანკების დაფუძნება-გამძლეობაში, არამედ ხელს აფარებდნენ მათი არსებობის და ქმედების დანაშაულზე ასპექტებს. სახელმწიფო მმართველობა სტრუქტურებმა და მაღალმა სახელმწიფო პირებმა, მხოლოდ ახლა, ხალხის გალღუტა-გაპარტახების შემდეგ, ატეხეს განგაში კომპანიებისა და ბანკების დანაშაულებრივ არსებობაზე. ზოგს უფლებაც არ ჰქონია სხვადასხვა ფულადი ოპერაციების ჩასატარებლად, ზოგს უკანონოდ მინიჭებია ეს უფლება... კი მაგრამ — აქამდე სად იყვნენ?! დღეისთვის, ოფიციალის მაღალი ტრიბუნებიდან, ბევრი ტყუილი და მართალი ითქვა ხსენებული კომპანიებისა და ბანკების უგვანობაზე. ნამდვილ დანაშაულთა უმეტესობა კი იქმალდება. მე აქ ყურადღებას ვაქცევ მახვილებ ერთ-ერთ მიჩქალებულ ფაქტზე:

კომპანიებს, თავისი არსებობის მანძილზე, შემოსავალი საერთოდ არ გადაურიცხავთ ბიუჯეტში (ვთქვათ, ჯამგირებიდან საშემოსავლო); სამართალდამცავ და საფინანსო ორგანიზაციებს კი არაფერი მოუმოქმედია ეგოდენ მნიშვნელოვანი დანაშაულის აღსაკვეთად. თვეების მანძილზე რისთვის არ ტყენდნენ განგაშს ამგვარი დანაშაულებრივი მხარეების და გამოვლინებების გამო? თუმცა გარდასულზე ვიწვიშს რა აზრი აქვს, როდესაც ახლაც კომპანიების სახელმწიფო შემოსულების შემდეგაც, პასუხს არავინ აგებინებს სხვადასხვა დროს დანაშაულში მხილებულ ორგანიზაციებს და პირებს (თუნდაც, სამართალდამცავი და საფინანსო





# მეანაბრე

## ეპოქის სუნთქვა

**ბაპრონმა** რესპუბლიკური პარტიის წევრებს სერიოზულად აწუხებთ 50000 გაკოტრებული ადამიანის ბედი და სრულიად სერიოზულად მუშაობენ პროექტზე, რომელმაც შეიძლება რეალური გზები დასახოს მოტყუებული ხალხის დასახმარებლად. მაგრამ რადგანაც შეხვედრა თეატრში გაიმართა, ალბათ არ გვიწყენენ დამსწრენი თუ მოქმედებას წარმოგიდგენთ ისე, როგორც ამ შენობას ეკადრება — მთავარ მოქმედ პირებს სახელებით და ტიტულებით, ხოლო მეანაბრეების ნაცვლად კი „ქოროს“ ვიხმართ. მაშ ასე, დავიწყით თავიდან...

«მეფეო. ესე თათბირი.

მოძკალ. ვინ დამიწუნოსა!»

**ბატონმა** რომან გოცირიძემ, მეანაბრეთა საათბობროსთან ერთად, შეიმუშავა პროექტი, რომელშიც დღეს-დღეობით ყველაზე უფრო რეალური პერსპექტივებია დასახული გაკოტრებულ მეანაბრეთა მიერ დაკარგული ქონების დასაბრუნებლად, რომლის დაკარგვაშიც ლომის წილი ხელისუფლებას მიუძღვის, რადგანაც თავის დროზე არ უზრუნველყო საკანონმდებლო წესით მეწარმეების განვითარება. დამნაშავეა სამართალდამცველი და მაკონტროლებელი ორგანოები, რომელთა ზედმეტი ყურადღების გამო კომპანიებმა მასიური გაკოტრება დაიწყო. პასუხისმგებლობა ეკისრება მათაც, ვინც არაკეთილსინდისიერ რეკლამას ეწეოდა და რა თქმა უნდა, თვით მეანაბრესაც. მაგრამ როგორც ბნ-მა რომანმა აღნიშნა — დამნაშავეს ძებნას დღეს აზრი არა აქვს, საჭიროა მოიძებნოს საკითხის გადაჭრის გზა. ხალხთან შეხვედრის შემდეგ მე დამრჩა ასეთი შეხედულება: ყველას აქვს რწმენა, რომ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება ძალიან სწრაფად და პირდაპირი გზით, ეს კი არარეალურია. საჭიროა არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება, სანამ საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია ქონება და სანამ პრივიტიზაცია არ დამთავრებულია, სახელმწიფო ქონების ნაწილი უსამართლოდ ნიავდება, მაშ, მივცეთ „გადანახული“ ქარხნების და საწარმოების სახელმწიფო წილიდან საპაკეტო აქციები ხალხს, რომლის წინაშეც ხელისუფლება პასუხისმგებელია. თუ თქვენ, მეანაბრეები, მხარს დაუჭერთ ჩვენს მიერ გამოტანილ პროექტს, თქვენს ნებას პარლამენტის და ხელისუფლების წინაშე ბატონი ვახტანგი მიიტანს, რომელიც დეპუტატია, და ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

ბ-ნი რომან გოცირიძის პროექტი მრავალ მუხლს შეიცავს, რომლის ჩამოთვლას აქ არ მოვყვებით (იხ. „საქართველო“ №18).

# დრამა გემირაბის ბარეში, მოქმედი პირებით და უემსრულაბლებით

ლელა ჯანჯალაშვილი

პიტიველი ძველათაჲთი ერთ თაყფრმცდენეს დავესესყ, ბმელიც თავის წყბილში ამვიციემს: „თაყფრთი უჭრესესი და უფაფიჭესი მართმეფრის მსგავსად გრმმმს თანამედრთუომის მაჯისცემას, მასში მიმდინარე პრდესესმს“. ავდრთი სამჭმთა თაყფრზე და რუვლთუციაზე წყბს, ეს მისი პრმმლუმა იცლს, დღეს კი ეს სიციყყში ნამდვილად მიესადგემა ა. გრმმედრის სასელმმის თაყფრში დაცრთაღმულ მღვლუნმს, აბა მაცდრმდ, აქ ასალი სპექტაკლის პრმმრთა ბმდი შედგა, აბამედ გაკდრმმულ მეანამრმეს შესვდნენ გაკრთიანმული რესპმულიური პატრის აღმმარტულმული მდივანი მაცდრნი ბმმან გმცრმმე და მდივანი პატრის საბრგანზაცილ საკრთესმში, დკუტყაცი, მაცდრნი ვასცანგ მამმრბამყ.

## ჩემი პროექტი შენსას ჯობია...

**ბბბ**, სად გინახავთ პიესა, სადაც ურთიერთ დაპირისპირებული მოქმედი პირები არ იყვნენ, პოდა ავანსცენაზე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვენსტიციო, სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ბატონი ვაჟა ბერიძე გამოჩნდა.

მან თქვა, რომ ეს სამსახური დეპარტამენტის უფლებით ჩამოყალიბდაო

და ამის შემდეგ ისეთი ზუსტი ქრონოლოგიით წარმოადგინა, თუ როგორ შეიქმნა ეს სამსახური, რომ თავს ვერ ვიკავებ რათა ბარაქალა არ ვუთხრა მის ფენომენალურ მეხსიერებას. რაც შეეხება პირადად ბატონ რომან გოცირიძეს და მის პროექტს, ამ უკანასკნელზე ბატონ ვაჟა ბერიძეს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩა, ხოლო ავტორის მიმართ კი სინანული გამოთქვა, რომ იგი იმ პარტიის მეგობარია (!?), რომელმაც უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა დეპარტამენტის მიერ პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი პროექტის მიმართ და იქვე „ჩაუშვა“ თნავარი დეპუტატები ნათამე, ხმალაძე, ბერიშვილი, რომელთაც ხმა არ მისცეს ამ პროექტს. ამის შემდეგ ბატონმა ვაჟა ბერიძემ მეანაბრეებს „აუწყა თავისი თათბირი“ სახელმწიფოს მეთაურთან, „მივც გლახაკთა საჭურჭლეს“ მიხედვით და ბრძანა: „ვიხაროდენ, 16 მინისტრთან შეთანხმებული პროექტი ჩაბარდა ბა-

ტონ ეღუარდ შევარდნაძეს, რომელიც ამ დღეებში მას ხელს მოაწერს“. ეს პროექტი ითვალისწინებს: პირველ რიგში, გამოძიებამ მოიძიოს თანხები, მთავრობამ და ხელისუფლებამ თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, ანაზღაურება გასცეს ვაჭურებით და დააწესოს შეღავათები (საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლება). კომპანიები, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი არიან გააგრძელებენ მუშაობას, ხოლო რომელითაც სულს იქით არაფერი აღარ აბადიათ, სახელმწიფო უპატრონებს. ბატონ ვ. ბერიძის პატეტური გამოსვლის გვირგვინად უნდა ჩაითვალოს მისი სიტყვები: „ჩემი შემოქმედების (?) მიზანი უნდა გახდეს ბატონ ეღუარდ შევარდნაძის სიტყვები: უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა ასეთი მეანაბრეები არ დაზარალდნენ“. ამის შემდეგ დეპარტამენტის უფროსმა დამსწრე საზოგადოებას სახელმწიფოს მეთაურის კეთილგანწყობა და მისი სიტყვები გადასცა: იმაში, რაც მოხდა, ჩემგან დაწყებული, ალბათ ყველანი დამნაშავეები ვართ. უნდა მოგახსენოთ, ამ სიტყვებმა ვაჟა ბერიძის გამოსვლაში ყველაზე დიდი მოწონება და ტაში დაიმსახურა.

**უთხრა: «ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერთა. შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერთა».**  
**ბატონმა** რომან გოცირიძემ თავის პასუხში აღნიშნა: თუკი ყოველი ჩვენი შეხვედრის შემდეგ ხელისუფლება დათმობაზე წავა, მაშინ ჩვენ შეხვედრებს აზრი ჰქონია, რაც წარმოდგენილ პროექტში ითქვა აქ ახალი არაფერი არ არის, ეს არის ერთ-ერთი მკირე ნაწილი ჩვენი დადგენილებისა.

რომან გოცირიძემ, როგორც კონომისტმა პროექტი არარეალურად ჩათვალა და მისი დანიშნულება დროის გაყვანაში დაინახა, რაც შეეხება შეღავათს, საქართველოში შექმნილი საექციო საზოგადოებები ისედაც თავისუფალნი არიან არსებობის პირველ წელს გადასახადებიდან, ხოლო თითო ვაჭურის დარიგება ცარიელი თავლის ქილის არაკს მიაგავს.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, დარბაზში სამეცნიერო პოლემიკა მიმდინარეობდა და მაყურებელი გასუსული ადევნებდა მოვლენებს თვალს. ეს რომ ასე არ ყოფილა და მეანაბრეები თავიანთ სატკივარს მეტად ხმამაღლა გამოთქვამდნენ, ამას დასკვნის სახით შემოგთავაზებთ, ახლა კი მოვლენებს წინ გავესწრებ და გმტყვიო, რომ ბატონი ვაჟა ბერიძე ნამდვილად სწორად მოიქცა, როცა იფიქრა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი, ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს, რაცა ვთქვი მასცა, ვინანი“.

სცენიდან ჩამოვიდა, გარსშემოსვეულ ხალხს შეპირდა, ყველაფერს წვრილად ტელევიზორით შეგატყობინებთო და „უცილოდ გაიპარა“, „უმაღურ“ მეანაბრეთაგან შეურაცხმყოფელი რეპლიკებით გულდაწყვეტილი...

## ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამაბთხრელს. ამაბზარავს...

**მეანაბრეთა** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლა მეტად საქმიანი იყო. ქორთ არ მორიდებია სახელმწიფო სტრუქტურების არცერთ წარმომადგენელს და რეალურად, ფაქტებიდან გამომდინარე საუბრობდა „შეეშვით შევარდნაძისადმი დითირამბებს მღერის, ჩვენ ძალიან დიდი ძალა ვართ, 50000 კაცი, ჯობია რეალური პროექტი და არა დროის გაყვანა, სად იყო სახელმწიფოს მეთაური და სამართალდამცავი ორგანოები მაშინ, როდესაც საქართველოში ბანკების „ბუმი“ დაიწყო, მათი დუმილის თანხლებით მოხდა ჩვენი გაკოტრება კი არა, არამედ გაძარცვა. რახან ითქვა, მეანაბრეებმა სხვა პარტიებში სირბილს თავი დაანებონ, თორემ კაპიტსაც ვერ მიიღებენო, ე.ი. არსებობს საშუალება, რათა მივიღოთ ჩვენი ქონება, დღეს თუ არა, გარკვეული დროის შემდეგ მაინც“.

ბოლოს ქორთს ემოციამ ზღვარს მიღწიეს და ოთხსაათიანი შეხვედრის შემდეგაც ვერ იხებდნენ გულს... რეპორტაჟს აქ ვასრულებთ, ფარდას კი არ ვაფარებთ, მოქმედება ჯერ არ დამთავრებულია.

საქართველო მთავარ როლს ითავსებს და შეაფასებს მთელი სიღრმითა და სიგბრადობით იმ დროის მიზანმიმართულ...

მ ხედვლებში მათს სიძველეს იმის შესახებ, ვის რა ბრალი და დანაშაული მიეკუთვნება...

1. ისინი, ვინც ვერ დაიჭირა იმ დიდი საქმის საქმე, რაც განვლილ მიანდობაში, მაგრამ თავისი ამ უუნარობის მიუხედავად არ გადადგა...

2. ისინი, ვინც დეკემბერ-იანვრის გადატრიალება მოახდინა და პრორუსული სისხლიანი დიქტატურა დაამყარა...

3. ისინი, ვინც დაუშვა მოვლენათა ამგვარი განვითარება — თუმცა თვითონ ამ მოვლენათა მეზობლობაში იმყოფებოდა და ხელი ვერ შეუშალა მას...

4. ისინი, ვინც პირლია შეჭვდა განახლებისა და მსოფლიო-ისტორიული ძვლების პროცესს 1980-იანი წლების მეორე ნახევარში — შეჭვდა ისე, რომ არც მებრძოლი ბირთვი...

საქართველო ისე შეჭვდა რუსულ-კომუნისტური იმპერიის დარღვევას, როგორც ზეგარდმო საჩუქარს, და ვერც ერთი მზა მექანიზმი ვერ დაახვედრა...

ჩემი ღრმა რწმენით, ყველა ამათი შეფასება ისტორიის მიერ ძალიან მკაცრი იქნება და უნდა იყოს კიდევ ეს შეფასება ჩემს უფლებებში არ შედის...

ა) მკითხველს მივანდობ მოვლენათა ანალიზი, რომლის პირობებშია დასაბუთებული თანამდებობა ვარ;

ბ) ხელი შეუწყო ყველა იმ ფანსალი ძალების შემოკრებას, რაც ვერ კიდევ გააქანა ქართველებს, რათა ისევ და ისევ არ გაეშუშათ ხელიდან ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ის შესაძლებლობა...

უდიდესმა მსხვერპლმა ქართველი ხალხი რადიკალურად (ძირითადად) ვერ გატეხა. თუმცა 1945-1953 წლები რუსეთის იმპერიის ისტორიის ზენიტი იყო...

# გეგმვის სიმატე საჭიროა მოგაპალი პრეზიდენტისათვის

## ნოდარ ნათაძე

თავმოყვარეობის შენარჩუნებისათვის ისღიდა, არ ვახვიადებ: ამ ორგანიზაციათა მონაწილეებს არ ჰქონდათ არავითარი რეალური ნარმატივის იმედი...

რა იყო იმ დროს საჭირო? საჭირო იყო არა მხოლოდ თავის გამწვანება, არამედ ამავე დროს შემართობა (თუ გნებავთ — მეომარი) ეროვნული ორგანიზაციის (უფრო ზუსტად — პარალელური ორგანიზაციების) შექმნა...

1 პარაკომუნისტური და სამთავრობო წრეები მაშინ და შედეგ ასახელებდნენ რიცხვებს „სუაი-ქესი“, „არმოცი“, „ოთხმოცი“...

1. 1921 წლიდან „დინიანტური“ მოქმედებები ვერც გასაბჭოებამ, ვერც 1924 წელმა, ვერც 1937-მა და ვერც მეორე მსოფლიო ომში გაღებულმა

ბის ანტიქართული გამოსვლები აღარ მოხდებოდა. ჩვენ შევძლებდით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის ოპტიმალურ ნარმართვას...

იმ დროს ქართველ ერში არ აღმოჩნდა არა თუ ჯგუფი (რაც რეალური ნარმატივისთვის აუცილებელია), არამედ ერთეული პიროვნებაც...

- 1. ძლიერი ინტელექტით
2. მტკიცე ნებით
3. სამკვდრო-სასიცოცხლო ერთგულებით
4. პიროვნული ძალით სხვებთან ურთიერთობაში
5. შრომისა და ბრძოლისუნარიანობით
6. მყარი ნერვული სისტემით
7. განათლებითა და პორიზონტით

ასეთ პიროვნებათა არგამოჩენა ერის ნაკლია. დიას, ჩვენი ისტორიის ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე ჩვენ ნაკლი აღმოგვაჩნდა...

მაგრამ დამხარე საშუალებად ანალიზის გამოყენება მაინც გემართება. ორგანიზაცია, როგორც ერთეული, არ შეიქმნა და არც სათანადო ლიდერები გამოჩნდნენ...

ქენითო! — ასეთი იყო ხალხის სულსკვეთება იმ წლებში. ხალხი ნებადართულ წერილსა და მსხვილ ქურდობას გადაყვდა, ჩასუქდა და თითქოს სულის მოთქმის საშუალება მოიპოვა...

ამ მეორე მიდგომაში რამდენიმე ფუნდამენტური შეცდომა ძვეს. ჯერ ერთი, ისტორიის ლოგიკა იმას არ გულისხმობს, რომ იგი ადამიანთა (პიროვნებათა) მონაწილეობის გარეშე განხორციელდება...

მაგრამ დამხარე საშუალებად ანალიზის გამოყენება მაინც გემართება. ორგანიზაცია, როგორც ერთეული, არ შეიქმნა და არც სათანადო ლიდერები გამოჩნდნენ...

ვი ზღვა ან ვინ (რეპრეზენტანტი) ჩაიხრიალოს ამა ერთი საქმის ნათობ-დოღარები. ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ თვითონ პრეზიდენტთანაა საქმეა. მოიგებს ის, ვინც სხვაზე მედგარად და სხვაზე პრძნულად იბრძოლებს...

საჭიროა ალინიზის ქართველი ერის პოლიტიკური დაძაბუნების კიდევ ერთი მიზეზი: სტალინის და ბერეას „ფრთის ქვეშ“ მოქცეულ ერს არ წარმოედგინა გამოსვლა ამ არასანდო თავმჯდომარეიდან და საკუთარი ბედის საკუთარი ძალით დაცვაზე ფიქრი...

